ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
შაბათი
8
სექტემბერი
№108 (10345)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

## ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

### საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების მონაწილე რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების სია

1. საქართველოს კომპარტია
2. საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია
3. „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის“ („დას“-ი)
4. საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია
5. საქართველოს სახალხო ფრონტი.
6. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია
7. საქართველოს მწვანეთა პარტია
8. საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.
9. საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი
10. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება
11. სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება
12. საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი
13. საქართველოს მელსინჯის კავშირი
14. საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია
15. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება
16. საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი
17. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
18. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
19. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
20. საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტია
21. საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირი
22. საქართველოს სახალხო პარტია
23. არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება
24. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
25. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტია
26. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
27. საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
28. ივ. ჯავახიშვილის საზოგადოება
29. საქართველოს დემოკრატიული სახალხო ფრონტი

### სია პარტიებისა, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაში გატარებაზე:

1. საქართველოს სამართლიანობისა და ეროვნული ერთიანობის პარტიას, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის მე-8 მუხლს.

2. საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიულ პარტიას, ვინაიდან მისი წესდების მიხედვით პარტიის წევრი შეიძლება იყოს სამეურნეო ორგანიზაციაც, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის მე-8 მუხლს.

3. საქართველოს გლეხთა პარტიას, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მისი წესდებით პარტიის წევრობისთვის დაწესებულია კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნები, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

4. საქართველოს შრომის პარტიას, რადგანაც მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოქმედებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონებით, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

5. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნულ პარტიას, ვინაიდან იგი არ არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია და მას აფინანსებს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

6. სრულიად საქართველოს სოციალური სამართლიანობის საზოგადოება „ლემ“-ს იმერეთის რეგიონს, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

7. დემოკრატიულ მოძრაობა „ვრასტან“-ს, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

8. საქართველოს [illegible] თანხმობისა და აღორძინების კავშირს, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, რაც ეწინააღმდეგება კანონის მე-8 მუხლს.

9. საქართველოს აგრარულ კავშირს, ვინაიდან იგი წარმოადგენს აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საწარმოების, გაერთიანებების და სხვა სამეურნეო ერთეულების შრომითი კოლექტივების კავშირს, რაც ეწინააღმდეგება კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

10. საქართველოს ეროვნულ კონსტიტუციურ ალიანსს, ვინაიდან მისი წესდება ითვალისწინებს პარტიის კოლექტიურ წევრებს, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.

11. საქართველოს „სტალინის“ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვინაიდან თავის საქმიანობას წარმართავს სკკპ პროგრამისა და წესდების მიხედვით, და საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების მარქსისტულ ლენინური დებულებების საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება კანონის მე-8 მუხლს.

---

სავები—90

## დრო არ ითმენს!

მიმდინარე წელს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთწლიანი სამარცვლე და საკვები კულტურები დაითესა 5.510 ჰექტარზე. მათ შორის სამარცვლე სიმინდი 2.365 ჰექტარზე, რაც გეგმიურს სჭარბობს. ინტენსიური ტექნოლოგიით დამუშავებულია 500 ჰექტარი. სოიოს კულტურა დაითესა 483 ჰექტარზე, ბოსტნეული—62-ზე, ხოლო სხვა ერთწლიანი კულტურები 2462 ჰექტარზე

სამარცვლე სიმინდის თესვის ვადები არ დარღვეულა. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

წელს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა აწარმოონ 1100 ტონა ბოსტნეული, სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 1000 ტონა. ასორტიმენტის მიხედვით 62 ჰექტარზე დათესილ და დარგულ იქნა ბოსტნეული კულტურები. ამ კულტურის ნათესებს დააკლდა 10 ჰექტარი, რაც ძირითადში მოდის ახალსოფლის, კოკის, კორცხელის კოლმეურნეობებსა და განმუხურის მეურნეობაზე.

5 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფოს ჩაბარდა 450 ტონა ბოსტნეული.

მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, დროულად დაითესა სიმინდი სასილოსედ და მწვანე საკვებად. მოსავლის აღება დაიწყო 25 აგვისტოს.

რაიონში ნელი ტემპით მიმდინარეობს საკვების დამზადება. 5 სექტემბრისათვის დამზადებულია 450 ტონა თივა. სენაჟი 5500 ტონიდან ჩადებულია 3900 ტონა. იგი არ მოუმარაგებიათ ოდიშის, რიყის, ურთის კოლმეურნეობებს, ორულუს რძის საწარმოს, განმუხურის, დიდინეძის, ნარაზენის, ონარიისა და ხეცერის მეურნეობებს, რაც შესაბამისად გამოიწვევს ამ სახის საკვების დეფიციტს.

ბდრე გაზაფხულზე დამზადებულია 611 ტონა ძირხვენები. ტურნეფსი დაითესა 350 ჰექტარზე.

ამჟამად სილოსის დამზადების გადამწყვეტი დღეებია. მიუხედავად იმისა, რომ ხასილოსე მასა უკვე შემოსულია ასაღებად, მისი დამზადების ტემპი დაბალია. 30 ათასი ტონიდან დამზადებულია მხოლოდ 5,5 ათასი ტონა. [illegible] ნორმალურად მიმდინარეობს აბაშა-ბალსთუმნის, ჯახათის, ნარაზენის, რუხის, ოქტომბრის კოლმეურნეობებში, დარჩელის, ორსანტიის მეურნეობებში. დანარჩენ საზოგადოებრივ მეურნეობებში 1 სექტემბრისათვის სილოსის დამზადება დაწყებული არ იყო. აუცილებელია ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მაქსიმალურად გამოიყენონ შესაფერისი ამინდი და შემჭიდროებულ ვადებში და ხარისხიანად დაამზადონ საკმარისი სილოსი, რომელიც ერთ-ერთი აუცილებელი საკვებია მეცხოველეობისათვის. რაიონში ირიცხება გასულ წლებში ნათესი მრავალწლიანი ბალახები 800 ჰექტარზე, რომელიც ძირითადად ნორმალურად განვითარებისაა. ამჟამად ფართობებში მიმდინარეობს მოსავლის აღება, ე. ი. მესამედ გათიბვა, გათვალისწინებულია წელს დამატებით დაითესოს მრავალწლიანი ბალახები 500 ჰექტარზე, რისთვისაც რაიონს გამოეყო 12 ტონა იონჯის, სამყურისა და მდელოს წივანას თესლი, მაგრამ ამ მეტად ყუათიანი საკვების მიღების საქმეს ყველგან ერთნაირი დაინტერესებით როდი ეკიდებიან. დადგა დრო, იფიქრონ. იმ საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, რომელთაც დღემდე არ გააჩნიათ სათანადო ნათესები, შეავსონ კვების რაციონი მაღალყუათიანი მრავალწლიანი ბალახების მწვანე კონვეიერით. თესვის საუკეთესო აგროვადაა 10 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე.

საკვებწარმოების რაიონული გაერთიანების მიერ მიმდინარე წელს წარმოებულია 317 ტონა ბალახის ფქვილი (გეგმა 400 ტონის მიღებას ითვალისწინებს). სამუშაო გრძელდება.

ახლა საკვების დამზადების საშური დღეებია. აღგილობრივ იაფფასიანი საკმარისი საკვების დამზადება რძისა და ხორცის წარმოების გადიდების გარანტიაა, ამიტომ ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ უნდა იზრუნოს სახეების მიხედვით მაღალხარისხოვანი საკვების დამზადების უზრუნველსაყოფად.

დრო არ ითმენს, საკვების დამზადება მეტ ყურადღებას ითხოვს.

3. ფიფია,
რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

3. ლუკავა,
დარგის აგრონომი.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოში

# აღმოფხვრათ დარღვევები კოოპერატივების საქმიანობაში

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი კოოპერატივების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, აღინიშნა, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ქალაქში რეგისტრირებული ზოგიერთი კოოპერატივის საქმიანობაში ადგილი აქვს კოოპერატივების შესახებ კანონის მოთხოვნათა, აგრეთვე კოოპერატივების საქმიანობის ცალკეულ საკითხებზე რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათა უხეშად დარღვევის ფაქტებს —ხშირია შემოსავლების გადამალვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ფასის ზევით ნაწარმის რეალიზაციის, ამონაგები თანხების ბანკში არასრულად შეტანის, აკრძალული სახმელების რეალიზაციის, ანგარიშსწორების ფულადი წესის დარღვევის და კანონმდებლობის დარღვევის სხვა ფაქტები.

სერიოზული დარღვევები მეტრომშენებლობასთან არსებულ კოოპერატივ „ფუნთუშას“ საქმიანობაში (თავმჯდომარე გ. მამია, ბუღალტერი ზ. გაბელაია).

კოოპერატივს წესდებით უნდა ეწარმოებინა საკონდიტრო საქონელი, ფაქტიურად აწარმოებს მურაბს, ამასთან უმაღლესი ხარისხის ფქვილისაგან.

ასევე ადგილი აქვს შემოსავლების გადამალვის ფაქტს. 1987 წლიდან მიმდინარე წლის 16 მარტამდე წარმოებული და რეალიზებულია 18502 მანეთის პროდუქცია, ხოლო ბანკში შეტანილია 11156 მანეთი. არ წარმოებს მიღებული ნედლეულისა და მასალების შემოსავალში აღება და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით ხარჯების ჩამოწერა და სხვა.

დამოუკიდებელ ხაწყისებზე არსებულ კოოპერატივ „ნატას“ (თავმჯდომარე გ. ხამელია, ბუღალტერი ქ. ნაჭყებია), რომელიც ფუნქციონირებს 1989 წლის ივნისიდან, გამოშვებული და რეალიზებული აქვს 2015 წყვილი ფანჯრის ფარდა 124121 მანეთის. ფასები ფარდაზე დაწესებული აქვთ თვითნებურად, წყვილი ღირს 51 მანეთი და 89 კაპიკი, ხოლო სახელმწიფო ფასი ამავე ქსოვილისაგან შეადგენს 48 მანეთსა და 50 კაპიკს, რის შედეგადაც მიღებული აქვს ზედმეტად 19568 მანეთი. ხელფასის დარიცხვა წარმოებულია პროდუქციის გამოშვებაში შრომითი მონაწილეობის მიღების გაუთვალისწინებლად. კერძოდ, 1989 წლის ივნისის თვეში ხელშეკრულებით მომუშავე 20 მუშაკზე დარიცხულია 9856 მანეთი, ხოლო კოოპერატივის 5 წევრზე, რომლებიც ამ პროდუქციის გამოშვებაში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, დარიცხულია 4487 მანეთი, კერძოდ, თავმჯდომარეზე—1000 მანეთი, მომარაგების ორგანიზატორებზე—900 და სხვა სამ წევრზე 845 მანეთი. კოოპერატივში მოუწესრიგებელია აღრიცხვა-ანგარიშგება, არ წარმოებს გახარჯული ნედლეულისა და მასალების ჩამოწერა გამოშვებულ პროდუქციაზე, არ ხდება ძირითადი საშუალებების, ნედლეულისა და მასალების, ფულადი სახსრების აღრიცხვა ჟურნალის, ან ბარათების მეშვეობით.

№ 12 სამშენებლო ტრესტთან არსებულ კოოპერატივ „ზუგდიდშენს“ (თავმჯდომარე რ. ცომინტია, ბუღალტერი დ. ფიქუა) წარმოდგენილ დეკლარაციაში შემოსავალი ნაცვლად 76511 მანეთისა, ნაჩვენები ჰქონდა 68581 მანეთი, ე. ი. 7930 მანეთით ნაკლები, ხოლო ამავე პერიოდში გაწეული ხარჯების არასწორად განსაზღვრის შედეგად გადიდებული იყო ნაჩვენები 9248 მანეთით, სულ გადამალულ-დახაბეგრავმა შემოსავალმა შეადგინა 17228 მანეთი. ასევე არასწორად წარმოებს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან გადასახადების დაკავება, რის შედეგად გადამეტებით დაერიცხა 285 მანეთი.

სპეცსამშენებლო სამმართველოსთან არსებულმა კოოპერატივმა „ხუდონმა“ (თავმჯდომარე მ. მანჯგალაძე, ბუღალტერი ქ. ახათიანი) ფასების არასწორად განსაზღვრის შედეგად 60 კუბური მეტრი დახერხილი მასალა ყოველგვარი გადამუშავების გარეშე მიყიდა სამშენებლო ორგანიზაციას, რის შედეგადაც უკანონოდ მიიღო 1680 მანეთი. აქ არ ხდება გამოშვებული პროდუქციის კალკულაცია და შესაბამისად არ წარმოებს ფასების დამტკიცება საერთო კრების მიერ.

სავალო ვაჭრობისა და საზკვების სამმართველოსთან შექმნილ კოოპერატივ „მაიკოში“ (თავმჯდომარე თ. ქაჯაია, ბუღალტერი ს. მოსია) ადგილი ჰქონდა ამონაგები თანხის ბანკში არასრულად შეტანას, კერძოდ, კოოპერატივის თავმჯდომარე ამონაგები თანხის ნაწილს, ნაცვლად ბანკში შეტანისა, იყენებდა ნედლეულის შესაძენად, უფრო მეტიც, მოსამსახურეებზე ხელფასის გაცემა წარმოებდა პირდაპირ ნავაჭრი თანხიდან ბანკის გვერდის ავლით.

ანალოგიური მდგომარეობა გამოვლინდა პურსაცხობ კოოპერატივ „ნიკალაში“ (თავმჯდომარე ზ. გოგია, ბუღალტერი რ. გვილია), სადაც პურის რეალიზაციით მიღებული 1550 მანეთი, ნაცვლად ბანკში შეტანისა, ადგილზე იყო გახარჯული ნედლეულის შესაძენად.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან არსებულ კოოპერატივ „პლაკატში“ (თავმჯდომარე თ. ჯაფარიძე, ბუღალტერი გ. ბებია) შემოწმებით დადგინდა, რომ კოოპერატივი ეწეოდა წესდებით გაუთვალისწინებელ საქმიანობას, წესდების თანახმად ავტომანქანების გაქირავებისა, ავტომანქანებით მომსახურებას. ამასთან კოოპერატივს არ ჰქონდა შემოსავალში ნაჩვენები ამონაგები თანხა 1248 მანეთი და ხარჯებში ზედმეტად იყო მიკუთვნებული 1925 მანეთი.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან შექმნილ კოოპერატივ „განთიადში“ (თავმჯდომარე შ. ხასაია) გამოვლინდა შემოსავალში 1714 ათასი მანეთის გადამალვის ფაქტი. კოოპერატივში ჩაშლილია ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება არ წარმოებს, არ ხდება ყოველთვიურად გახარჯული ნედლეულის ჩამოწერა, ადგილი აქვს ნედლეულის შესაძენად მიღებული ხესხის არამიზნობრივად— მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის დავალიანების ასანაზღაურებლად გამოყენებას.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსთან არსებულ კოოპერატივ „ელენეში“ (თავმჯდომარე გ. ჩემინავა, ბუღალტერი მ. კიკალეიშვილი) გადამალული იყო 8356 მანეთის შემოსავალი, ერიცხება შრომითი რესურსების არგადახდები 150 მანეთის ოდენობით.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ საკითხის ორჯერ განხილვის მიუხედავად კვლავ უხეშად ირღვევა კანონის მოთხოვნები კოოპერატივ „ოჯახურში“ (თავმჯდომარე კ. ხუბულავა, ბუღალტერი ა. ჯიშკარიანი). კოოპერატივში ზეპირსიტყვიერად წარმოებს აღრიცხვა-ანგარიშგება, ანგარიშსწორება სამზარეულოსა და მოლარეს შორის, რის გამოც შეუძლებელი ხდება ნავაჭრი თანხის ზუსტად განსაზღვრა, არ შეაქვთ სისტემატურად ბანკში ნავაჭრი თანხა, არის შემთხვევები საფინანსო განყოფილებაში დეკლარაციების შეუდგენლობისა, ხოლო წარმოდგენილი დეკლარაციები უსწოროა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დეკლარაციის მიხედვით შემოსავალი შეადგენდა 2071 მანეთს, აქედან დასაბეგრი თანხა 721 მანეთია. ჩატარებული გამოკვლევით (ადგილზე არსებული არასრული ჩანაწერებით) აღმოჩნდა 80669 მანეთის შემოსავალი საიდანაც დასაბეგრი თანხა შეადგენდა 2291 მანეთს. კოოპერატივს გადახდილი არა აქვს შრომითი რესურსების გადასახადი, არ არის დაბეგრილი კერძო ბინა, რომელსაც მიაქირავებ შენობა. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, ადგილი აქვს აკრძალული სასმელებით ვაჭრობას.

შინაგან საქმეთა განყოფილების შეტყობინების თანახმად აკრძალული სასმელებით ვაჭრობის წესებს უხეშად არღვევს კოოპერატივი „მეგრული ჭარგვალი“ (თავმჯდომარე ხვიჩია), აქ, მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, დარღვევებმა სისტემატური ხასიათი მიიღო.

კოოპერატივ „ფასკუნჯის“ მიერ არ წარმოებს ხოცადაზღვევის თანხებისა (1068 მანეთი) და შრომითი რესურსების გადასახადის (800 მანეთი) დარიცხვა.

ქალაქის რიგ კოოპერატივებში არ იცავენ ძირითად საშუალებათა, ნედლეულისა და მასალების შეძენის დადგენილ წესს, რითაც უხეშად ირღვევა მოქმედი კანონები.

სავალო ვაჭრობისა და საზკვების სამმართველოს „პაზ—3200“ მარკის მიკროავტობუსი გადაეცა კოოპერატივ „აისს“ საზითუმო ფასებში, ნაცვლად სავალო ფასისა, რითაც ბიუჯეტმა ვერ მიიღო კუთვნილი ფასთა სხვაობა 12,9 ათასი მანეთი.

კოოპერატივ „ფაზისს“ ნედლეული მიღებული ჰქონდა საბითუმო ფასებში რის შედეგადაც ფასთა სხვაობა 12,8 ათასი მანეთი ამოღებულია ბიუჯეტში.

კოოპერატივ „სიჭაბუკეში“ შემოწმებით გამოვლინდა ფასების არასწორად განსაზღვრის ფაქტები. კერძოდ, 550 ცალი სამუშაო კოსტუმი 19 მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 25 მანეთად და შესაბამისად უკანონოდ მიღებული აქვს 3053 მანეთი, რაც ბიუჯეტში იქნა ამოღებული კოოპერატივების მხრიდან. ხშირია დეკლარაციების წარმოუდგენლობის შემთხვევები შემდეგი კოოპერატივებიდან „ოჯახური“, „ირიდა“, „კოლხიდა“, „ფანტაზია“, „კოლხეთი“, „აისი“, „კოლხმა მომხატა“, „ელექტრონიკა“, „ლილე“, „თეთრა“, „ოქრობელი“, „ელარჯი“, „სალხინო“, „სინთეზი“, „ზუგდიდშენი“. არის შემთხვევები, როცა კოოპერატივები გამოყენებულია სპეკულაციისათვის. ხშირია შემთხვევები ელექტროენერგიით, წყლით და სხვა რესურსებით სარგებლობის წესების დარღვევისა, ხოლო ქალაქის შესაბამისი სამსახურები ამას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია საფინანსო განყოფილების მუშაობა კოოპერატივებში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ისინი არ ატარებენ საჭირო პროფილაქტიკურ მუშაობას, არ იღებულობენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს ცუდი კოოპერატივების მიმართ.

ბინსოცბანკის (თ. ნადარაია), მრეწვმშენბანკის (ვ. თორია) განყოფილებებში არ ახდენენ ზემოქმედებას კოოპერატივების საქმიანობაზე, არ სწევენ სათანადო კონტროლს გაცემული სესხების ეფექტურად გამოყენებაზე. შედეგად, რიგ კოოპერატივებს გააჩნიათ ვადაგადაცილებული დავალიანებები.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სსრ კავშირის კოოპერაციის შესახებ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლად ქალაქში რეგისტრირებული კოოპერატივების მუშაობა არასაკმარისად ჩათვალა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილებები არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

მათ შორის ზემოთ აღნიშნული დარღვევებისათვის მკაცრად გაფრთხილდნენ კოოპერატივები: „ფუნთუშა“, „ნატა“, „ზუგდიდშენი“, „ხუდონი“, „მაიკო“, „ნიკალა“, „სიჭაბუკე“, „პლაკატი“, „განთიადი“, „ფასკუნჯი“, „აისი“, „ელენე“, „მეგრული ჭარგვალი“, „ირიდა“, „კოლხიდა“, „ფანტაზია“, „კოლხეთი“, „კოლხმა მომხატა“, „ელექტრონიკა“, „ლილე“, „თეთრა“, „ოქრობელი“, „ელარჯი“, „სალხინო“, „სინთეზი“, „ზუგდიდშენი“.

ამასთანავე, დაევალათ ქალაქის საფინანსო, შინაგან საქმეთა, ბინსოცბანკის განყოფილებებს ელქსელის დირექციას, ბუნების დაცვის კომიტეტს, საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ კონტროლის სახელმწიფო ინსპექციას შეისწავლონ არსებული კოოპერატივების საქმიანობა, გაატარონ სხვადასხვა კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები, დააწესონ სისტემატური კონტროლი, რათა უზრუნველყონ კოოპერატივების კანონიერი მოქმედება.

ჩვენი გაზეთის კრიტიკული გამოსვლის პასუხად

## გაუმჯობესდება მომარაგება

გაზეთ „ოდიშის“ 13 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „როდემდის უნდა ვითმინოთ“, მხილებული იყო ის ფაქტი, რომ ფაიფურის ქარხნის ბოსტნეულის მაღაზიები და სასადილო განიცდიან ბოსტნეულის დეფიციტს.

აღნიშნულზე ზუგდიდის „ხილბოსტანვაჭრობის“ დირექტორი გ. ანთელავა რედაქციას ატყობინებს:

—„ხილბოსტანვაჭრობა“ მარაგდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით საზოგადოებრივი მეურნეობებიდან გამოყოფილი ფონდის მიხედვით საპრეისკურანტო ფასებში. კერძო პირებიდან შეთანხმებულ ფასებში პროდუქციის შესყიდვის უფლება ორგანიზაციას არა აქვს. [illegible]

საკითხი ზოგიერთი მაღაზია გადაყვანილიყო საიჯარო ურთიერთობაზე და ემუშავათ შეთანხმებულ ფასებით (არა უმეტეს საბაზრო ფასებისა), რაც, შექმნიდა პირობას მომარაგების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ საკითხი [illegible] გადა-წყვეტილ იქნას.

ფაქტი, რომ „კოოპვაჭრობა“ უკეთ მარაგდება, ეს განპირობებულია იმით, რომ მათ უფლება აქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შეისყიდონ კერძო სექტორიდან. [illegible] „ხილბოსტნეულს“ მა-ღაზიები პროდუქციის გადასცემ[illegible] დეს აღნიშნულ ობიექტებს მოკლებულია ყოველგვარ სიმართლეს.

დასმულია საკითხი საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მოგვაწოდონ ნაკლებად გავრცელებული ბოსტნეული, მოგვცეს უფლება ვაწარმოოთ პროდუქციის შესყიდვა შეთანხმებულ ფასებში და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიტინგები და „მიტინგური დემოკრატია“

პოზიცია

ერთ-ერთმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა, საქართველოში ათი დღის ყოფნის შემდეგ ასეთი დასკვნა გააკეთა: „საქართველო მიტინგების ქვეყანა ყოფილაო“. მართლაცდა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა დიდი თუ პატარა, სერიოზული თუ არასერიოზული, ნამდვილი თუ მოჩვენებითი საკითხების მიტინგების მეშვეობით გადაწყვეტა. დასავლეთში ასეთ მდგომარეობას, ირონიის გარეშე, მიტინგურ დემოკრატიას უწოდებენ. ჩვენში კი კარგ ტონად ითვლება მიტინგური დემოკრატიის გარშემო ირონიული საუბარი და მოწოდება — „ბოლოსდაბოლოს ლაპარაკიდან საქმეზე გადავიდეთო“ ეჭვგარეშეა, რომ თუ ეს უკანასკნელი „ლოზუნგი“ კერძო საკითხებს ეხება, სადაც ყველაფერი გარკვეულია და ნამდვილად საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, იგი მისაღებია. მაგრამ თუ ადამიანებს მიტინგი იმისათვის ჰჭირდებათ, რომ ერთად შეკრებილებმა, ღიად, საჯაროდ და კოლექტიურად, ობიექტურად გამოხატონ პოზიციები ჩვენი ცხოვრების უაღრესად საჭირბოროტო პრობლემებზე, გაარკვიონ ვინ ვართ და რა გვინდა, როგორ მივაღწიოთ იმას, რაც გვინდა, მაშინ, რარიგ პარადოქსალურად არ უნდა ჟღერდეს ეს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი განვითარების „მიტინგური“ სტადია, მხოლოდ საწყის ეტაპზეა.

მიტინგებზე „მომიტინგეები“ სხვადასხვა მიზეზებით მოდიან: ერთნი სურვილით მხარი დაუჭირონ თავშეყრის მიზეზს, მეორენი — დაუპირისპირდნენ მას, მესამენი — ისე, უბრალოდ, დროის მოსაკლავად, მეოთხენი — ცნობისმოყვარეობის გამო, მეხუთენი — შემთხვევით და ა. შ. ასე იყო ყველგან და ყოველთვის და, ასე იქნება მომავალშიც. ამიტომ ნაადრევია წამოძახილები და მოწოდებები იმის თაობაზე, რომ „საკმარისია ლაყბობა, დაუბრუნდით თქვენს სამუშაო ადგილებს და კეთილსინდისიერი შრომით ეცადეთ უზრუნველყოთ თქვენი შვილების ბედნიერი მომავალიო“! მაგრამ თუ ხალხი სწორედ იმიტომ მოვიდა მიტინგზე, რომ გაარკვიოს, გაიგოს, იქნება კი საერთოდ ეს მომავალი? და თუ იქნება — როგორი იქნება იგი? იქნება კი იგი „საუკეთესო“? და თუ იგი საუკეთესო არაა, ღირს კი მისთვის მუშაობა?... უნდა კი ამ შეკითხვებს პასუხი? რასაკვირველია, უნდა! ამასთან პასუხი — საჯარო და კომპეტენტური, დამაჯერებელი. ესეც არაა საკმარისი. ამ რთულ შეკითხვებს პასუხი უნდა გასცეს პიროვნებამ ან პიროვნებათა ჯგუფმა, რომელსაც და რომელთაც კომპეტენციასთან ერთად ამის მორალური უფლებაც, ანუ ხალხის ნდობაც უნდა ჰქონდეს.

როგორ მოხდა, რომ ერი რომელიც ფლობს უზარმაზარ, მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე დაფუძნებულ ინტელექტუალურ პოტენციალს, მაღალ პოლიტიკურ კულტურას, ყველასათვის შესაშურ რაინდულ თვისებებს, სატირალ სიტუაციაში აღმოჩნდა?

როგორ აღმოჩნდა დამონებულ მდგომარეობაში ერი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში წარმატებით (მართალია დიდი ადამიანური მსხვერპლის და მატერიალური დანაკარგების ფასად) იგერიებდა გარეშე მტრების შემოტევას? ამ მიზეზების აუხსნელობა ქმნის იმის საშიშროებას, რომ ჩვენ გავიმეორებთ ჩვენი უახლოესი წინაპრების საბედისწერო შეცდომებს იმ განსხვავებით, რომ მომავალ თაობას მათი გამოსწორების მინიმალურ შანსსაც ვერ დავუტოვებთ.

ვინ უნდა დაარწმუნოს ხალხი არჩეული თუ ასარჩევი გზის სისწორეში? ვის უნდა გაჰყვეს ხალხი? ყველა შემთხვევაში არავის, ცალკე აღებულს. ისტორიამ კიდევ ერთხელ მწარედ დაადასტურა „ბელადომანიის“ ტრაგიზმი და სისასტიკე, ბელადისა და ტირანის იდენტურობა.

სწორედ მიტინგებმა და მიტინგურმა დემოკრატიამ (ყოველ შემთხვევაში ნამდვილი დემოკრატიის საწყის ეტაპზე) უნდა გაარკვიოს ვინ ვინ არის. ჭეშმარიტების ძიება უნდა ხდებოდეს ხალხის წიაღში და არა მილიციით დაცულ კაბინეტებში. ხალხის ინტუიცია დაგვეხმარება „მარტივი ჭეშმარიტებების“ გარკვევაში, რომლებიც სინამდვილეში თურმე ყველაზე რთულია. ასეთ შემთხვევაში შეცდომების დაშვების ალბათობა მინიმალურია.

„მიტინგურ დემოკრატიას“ აღნიშნულის გარდა, სხვა, უფრო ლოკალური დანიშნულებაც გააჩნია: მხარდაჭერის, უნდობლობის, აღშფოთების გამოხატვა, საკუთარი ძალების რწმენა, ერთიანობის მიღწევის მცდელობა და ა. შ.

კატაკლიზმებით და ტრაგიზმით სავსე ახლო წარსულმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ერთიანობის და კონსოლიდაციის, გონიერი წინააღმდეგობის პირობებში შესაძლებელია თავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვება, ძლიერ გარეშე ძალებზე მორალური გამარჯვება.

დღევანდელ ეტაპზე ჩვენ ასე თუ ისე, გარკვეული ვართ ვის წინააღმდეგ უნდა შევკავშირდეთ, როგორ დავუპირისპირდეთ ჩვენს საზღვრებს გარეთ მყოფ ცენტრს, მაგრამ ჯერჯერობით საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად ვერ გადაგვიწყვეტია ჩვენს საზღვრებს შიგნით ვის გარშემო გავერთიანდეთ, ვის მივენდოთ! ამითაცაა ალბათ გამოწვეული მრავალი ათეული პარტიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების წარმოშობა, თვალის ახვევის და მოტყუების მცდელობა, „ვილაცის“ წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის მოწყობის მოთხოვნა, შეუწყნარებლობა, პოლიტიკური კინკლაობა, ცინიზმის „აყვავება“, მოძმეთა ფიზიკური და სულიერი კვლა. ეს უღევს საფუძვლად ძველისაკენ დაბრუნების მოწოდებას, კეთილი მეფის, „რკინის ხელების“ იმედს. ამიტომაც იკაფავს ძნელად გზას აქა-იქ გამოჩენილი სწორი და ბრძნული აზრები.

ამჟამად, როგორც არასდროს, გვჭირდება უზარმაზარი მოცულობის ფიზიკური და ინტელექტუალური მუშაობის (ხშირ შემთხვევაში უმადური) ორგანიზება-ჩატარება, რომლისთვისაც აუცილებელია არა უბრალოდ [illegible]სნება და ნიჭი, არამედ გონებისა და სულის, ნიჭისა და გულის შეთანხმებულობა. საჭიროა ჩვენი წარსულის, რწმენის, ფასეულობების, იდეალების დაუნდობელი, ჭეშმარიტი, მიუკერძოებელი კრიტიკული ანალიზი და არა ყველასი და ყველაფრის ხელაღებით კრიტიკა. საქმიანობა არა ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებული, არამედ არსებული მდგომარეობის გამოსწორებით დაინტერესებული კაცის პოზიციებიდან.

ამ ძნელ, ხშირ შემთხვევაში უმადურ, მაგრამ აუცილებელ სამუშაოს წარსულში თავის თავზე იღებდნენ გამოჩენილი მოაზროვნეები, ფილოსოფოსები, საზოგადოებათმცოდნეები (დღევანდელი გაგებით — პოლიტოლოგები), რომლებიც აუჩქარებლად, ყოველგვარი ამბიციებისა და „უჩემოდ ვით იმღერეთა“ სინდრომის გარეშე, იაზრებდნენ ყოფიერებისა და ცნობიერების კანონებს და „ქმნიდნენ“ ახალს. ჩვენ დღეს არც დრო და არც საშუალება არა გვაქვს ველოდოთ ასეთი გამოჩენილი მოაზროვნეების დაბადებას და შემდეგ მათ გარშემო შეკავშირებას. შემოქმედება და აზროვნება უაღრესად ინდივიდუალური და ინტიმური ხელობაა. ფაქტია, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის, თუ მეცნიერებათა აკადემიის ასობით წევრი, ერთად აღებული, ვერ შეცვლის დიდ ილიას თუ აკაკის, ვაჟას თუ გალაკტიონს.

სად არის გამოსავალი? ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ექსტრემალური სიტუაციის კანონებს, გავიაზროთ ჩვენი ისტორიული წარსული და როგორც ისტორიის კოლექტიურმა სუბიექტებმა გენიოსების აზროვნება და ჩვევები უნდა გამოვავლინოთ. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ბიუროკრატიულ აპარატთან ბრძოლისას მის ტირანიას არ გადავექცევით ბრბოს ტირანიად. ხალხი წინ უნდა აღუდგეს, ერთის მხრივ, დოგმატიკოსებს, რომლებიც, ბუნებრივია, თავიანთი ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრივილეგიების შესანარჩუნებლად არ მოერიდებიან არც დემაგოგიას, არც შანტაჟს და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ძალის გამოყენებასაც; მეორეს მხრივ, დოგმატიკოსების ანტიპოდებს; რომლებიც შეეცდებიან მასების უკმაყოფილების გამოყენებას, თავიანთი, ვიწრო, კარიერისტული მიზნების მისაღწევად. მხოლოდ უკმაყოფილებაზე და აღშფოთებაზე აგებული მოძრაობა, როგორც ეს ისტორიამ დაადასტურა, კიდევ უფრო საშიშია, რამეთუ იგი ადამიანებს ბრბოდ აქცევს, აბრმავებს და აყრუებს მათ. ეს ის ფენომენია, რასაც პლატონმა „ოხლოკრატია“ უწოდა. მისი სტიქიაა — ლინჩის სასამართლო, ძარცვა და ნგრევა, „ეშმაკებზე“ ნადირობა, მტრების „შექმნა“. ფრანგმა სოციოლოგმა და პოლიტოლოგმა გაბრიელ ტარდმა ასე დაახასიათა მისი თვისებები: „წარმოუდგენელი მოუთმენლობა, სასაცილო სიამაყე, ავადმყოფური წარმოსახვები, უპასუხისმგებლობა, ზომისა და წონის გრძნობის დაკარგვა“. ყველაფერს ამას წარმატებით იყენებდნენ 20-იან წლებში როგორც „მომიტინგეები“, ისე ტოტალიტარული რეჟიმები, ბუნებრივია, ისეც ხდებოდა, რომ აღშფოთებული მასების ძალა კეთილი საქმეების საკეთებლადაც „იმუხტებოდა“. მაგრამ ეს უკვე მასაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ იმათზე, ვინც მას წარმართავდა. ე. ი. იგი დამოკიდებული იყო მოძრაობის ინიციატორის გონიერებაზე და სინდისზე, იმაზე, თუ რითი ხელმძღვანელობდა საზოგადოების ელიტა.

ყველამ უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ ყოველი ჩვენთაგანი შეიძლება არასწორი იყოს, შეიძლება რაღაც ვერ გაიგოს ან ვიღაცას ვერ გაუგოს, შეცდეს. ეს არ არის ტრაგედია, ტრაგედია ისაა, თუ ჩვენ ერთმანეთს წავართმევთ უბრალოდ შეცდომის დაშვების, საყოველთაოდ მიღებული კანონებისაგან განსხვავებული, განსაკუთრებული აზრის გამოთქმის უფლებას. ტრაგედია გარდაუვალია მაშინ, როცა ჩვენ კვლავაც შეგვეშინდება იმის თქმა, რასაც ნამდვილად ვფიქრობთ, როცა სხვაგვარად, ჩვენგან განსხვავებულად მოაზროვნეებს დევნის და შევიწროების ობიექტებად ვაქცევთ.

ინტელიგენტი ადამიანის, იქნება ის მუშა, გლეხი, მეცნიერი თუ პოეტი, ექიმი თუ პოლიტიკოსი, ნორმალური მდგომარეობაა ხალხის, ერის სამსახური, მისი ინტერესების დაცვა. რაც უფრო მეტი გვეყოლება ასეთი ინტელიგენტური პიროვნება, მით უფრო გამართლებულია „მიტინგური დემოკრატიის“ სინდრომი, მით უფრო ნაკლები დანაკარგებით მივაღწევთ ჩვენს სანუკვარ მიზანს — დამოუკიდებელი, ძლიერი, სამართლიანი და აყვავებული საქართველოს ხილვას.

ბორის კალანდია,
პროფესორი, საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი.

---

მკითხველი გვთავაზობს წინადადებას

## ამაზეც უნდა ვიფიქროთ

ხშირია შემთხვევები, როცა ქალაქის ქუჩას ეწოდება ამავე ქალაქის თვალსაჩინო პიროვნების სახელი. ამ მხრივ, არ არის დასამალი, ზუგდიდელები განებივრებული არა ვართ. ალბათ თითზე ჩამოსათვლელი თუა ღირსეულ ზუგდიდელთა სახელის მატარებელი ქუჩები.

ხომ არ გვეფიქრა, რომ ჩვენს ქალაქში ერთერთ ქუჩას ეწოდოს იაკ ქორთუას სახელი? პიროვნებისა, რომელიც თავისი ცხოვრებით, მოკრძალებული შემოქმედებით, ზნეობრივი ღირსებებით ყოველ მხრივ იმსახურებდა ამას.

ამით ჩვენ კიდევ ერთხელ მივაგებდით პატივს ყოველმხრივ შემკობილ პიროვნებას.

გონელი მიქენაია.

---

თანადგომა

## ფაქტიური მიდგომით

ქალაქის ბუკიას ქუჩაზე მცხოვრებნი ემადლიერებიან უბნის ინსპექტორს როლანდ რაფავას, ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარეს ჯვებე ჯაფარიძეს, რომლებიც ყველა სიტუაციაში მზად არიან დახმარებისათვის ფაქტიური მიდგომით ისინი სწრაფად არეგულირებენ მეზობლურ კონფლიქტებს, ყოველგვარ დავებს, რაც თან ხდევს დღევანდელ ცხოვრებას.

ზუგდიდის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები ხშირად აწყობენ შემოვლებს, რეიდებს, სდარაჯობენ ადამიანთა სიმშვიდეს.

ყველასათვის ნათელი და ცხადია, რომ ორგანოს მუშაკებს სჭირდებათ ხალხის თანადგომა და მხარდაჭერა, რაც ესოდენ დიდმნიშვნელოვანია ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე.

ა. ჟელია, ნ. ბენდელიანი, ჟ. ჭილაია, ვ. ზონია, რ. ფარცვანია.

---

რეპლიკა

## სხვამ რა დააშავა?

ჩვენ, ძველი მუშაკები, ადრე არასოდეს ვყოფილვართ დაყოფილი კომუნისტებად და არაკომუნისტებად, ერთად ვიბრძოდით, ერთად ვშრომობდით და ერთად მივაღწიეთ მტერზე გამარჯვებას. ახლა ვის დასჭირდა ჩვენი დაყოფა? რას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ ძველი ფრონტელი და ნაომარი კომუნისტები წარდგენილი არიან პარტიის საქალაქო კომიტეტში 40 მანეთის მისაღებად. რა დააშავა სხვამ, არაკომუნისტმა? ვის აძლევს ხელს ასეთი ურთიერთდაპირისპირება ომის ვეტერანთა შორის?

ჩვენ, რიგით თუ კომპარტიის წევრ ომის ვეტერანებს წარსულშიც ერთი გზით გვივლია, ერთად გვიბრძოლია და ახლაც ერთად უნდა ვიყოთ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე.

ვ. ზონია,
ომისა და შრომის ვეტერანი.

# ეროვნული სამხედრო სწავლებისათვის

ამ დღეებში საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრომ რესპუბლიკური თათბირი მიუძღვნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა ტიპის სასწავლებლებში თავდაცვით-ფიზკულტურული მომზადების საკითხებს.

როგორც თათბირზე სიტყვით გამოსულმა სახალხო განათლების მინისტრის მოადგილემ კ. სუჯაშვილმა თქვა, ნაციონალურ სკოლებში მეცადინეობა წარიმართება ეროვნულ, მშობლიურ ენაზე, ადრე, დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის განკუთვნილი მატერიალური ბაზა შენარჩუნებული იქნება იმ ცვლილებით, რომ სასწავლო კაბინეტები და საბრძოლო დიდების ოთახები მოეწყობა ქართულ, ეროვნულ ყაიდაზე.

ქართული სკოლები და სასწავლებლები მიიღებენ სახელმძღვანელოებსა და პროგრამებს მშობლიურ ენაზე, თავდაცვით მომზადებაში ჩართული იქნება ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის საკითხები, განხორციელდება სასწავლებლების მუშაკებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის შეხვედრები ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან, ყოველნაირად შეეწყობა ხელი მათთან დამეგობრებას, რათა გაერთიანებული ძალებით, ერთსულოვნად ხორციელდებოდეს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის სანუკვარი საქმე.

თათბირში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი კ. წეგაშვილი. მან მოიწონა სახალხო განათლების სამინისტროს მიერ აღებული კურსი, აღნიშნა, რომ საქართველოს ამჟამად, ისე როგორც არასდროს, სჭირდება შრომისმოყვარე, ფიზიკურად გამოწრთობილი, მებრძოლი ახალგაზრდობა. ახალგაზრდობა, რომელსაც ექნება უნარი და შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში იარაღით დაიცვას მოპოვებული დამოუკიდებლობა. ვაჟებთან ერთად, სასურველია საბრძოლო იარაღს ეუფლებოდნენ გოგონებიც, მთლიანად დაუბრუნდეს სასწავლებელს თავდაცვითი მომზადებისათვის განკუთვნილი 140 საათი.

აქვე მივიღეთ ინფორმაცია სამინისტროს რწმუნებულისგან, რომ მინისტრთან შეთანხმებით მე-10 და მე-11 კლასებში ფაკულტატივების თითო საათი დაეთმობა თავდაცვით მომზადებას, რაზედაც სახალხო განათლების განყოფილებები მიიღებენ წერილობით განკარგულებას.

ამჟამად, სუვერენული, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსათვის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე საქართველოს სახალხო განათლების მესვეურებს, პროგრესულად მოაზროვნე ყველა ქართველს ამოძრავებს ერთი მიზანი — საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება, ამ მონაპოვრის ბოლომდე დაცვა და შენარჩუნება. ამრიგად, ახალგაზრდობის მხედრული და ფიზიკური წრთობა მიზნად ისახავს არა საოკუპაციო არმიის რეზერვების მომზადებას, არამედ ქართული ეროვნული არმიის შექმნას.

პატივცემულო კოლეგებო, მასწავლებლებო, სკოლის ხელმძღვანელებო, სახალხო განათლების მუშაკებო! დღეს ქართული ერის თავისუფლებისათვის ბრძოლის ყველაზე გადამწყვეტ ჟამს ნუ გაბდით ხადაოდ და საყოყმანოდ ჩვენი ახალგაზრდობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ყველაფერი გააკეთეთ მისი წარმატებებისათვის.

**დავით აბსაბა,**

ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

# ო, ეს ბაზარი

## (ფელეტონის მაგიერ)

ქალაქ ზუგდიდში ყველაზე ხალხმრავალი ადგილი სადაო რომ შეგეკითხონ, დაუფიქრებლად შეგიძლიათ უპასუხოთ — საკოლმეურნეო ბაზარი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ეს ასეა და ბუნებრივიც, რამეთუ ჩვენი გაჭირვებული ცხოვრებისა და გამოცოცხლებული მაღაზიების პირობებში მყიდველ-გამყიდველთა ყველა გზა ბაზარში მიდის. მერე რა, რომ მგორე მსოფლიო ომის აქეთ ჯერ არ ყოფილა ასეთი სიძვირე?! მერე რა, რომ ბაზარს „საკოლმეურნეო" ჰქვია, მაგრამ ნაღდი კოლმეურნეები დახლებთან სანთლით საძებარნი არიან?! მთავარი ხომ ისაა, რამეფრად ოჯახში შიმშილის აჩრდილი არ შემოგვეჩვიოს, საზკვების თანამედროვე კოოპერატორ-მეჯლანუაშვილების „კლანჭებს" გადარჩენილი ხორაგეული სახვალიოდ თუ არა საიმდღეოდ მაინც მოვიხაზიროთ, ბოლოსდაბოლოს — არ გაუშრეს ხალხის მკვებავი ჭიქანი ბაზარს, ეს ერთი ნუგეში მაინც შეგვრჩეს. მისწრებაზე, არჩევა-გადარჩევის საშუალება არა გვქონს. ჭიბექესუტა, ხელფასის „მშრალ ულუფაზე" მსხდომთ ხევრ რამეზე გვიწევს თვალის დახუჭვა...

ასე, ღმერთი არ გაგიწყრეთ და მართლა არ დახუჭოთ თვალები. ვინ იცის, რას ან ვის დაეჯახებით. ვთქვათ პირდაპირ, ბაზრის შესასვლელ კარებთან თავს იყრიან საეჭვოდ მზერაგაფაციცებული უსაქმურები, წვრილმანი გადამყიდველები, კოოპერატივის აბრას ამოფარებული მავანი და მავანი, ფულზე მოთამაშე ატრაქციონისტები, არის ყაყანი და რია-რია, გაწევ-გამოწევა... ბაზარში სალ-სალამათმა თუ შეაღწიე, იგულისხმე რომ იღბალმა გაგიღიმათ, თუმცა თვალის დახუჭვა არც აქ ჯერად ეგების. თვალდახუჭულს კი არა, თვალღიას უჭირს ჩვენს ბაზარში ნაგვის გორებისათვის გვერდის ავლა, ქურდბაცაცებისაგან ხელჩანთისა თუ ჯიბის დაცვა. არც ისაა გამორიცხული შუა ბაზარში შავმა განოცდათიხმა „გირქინის" და არც ის — თავად დაეჯახო რომელიმე ჯიხურს. რაო, გაჭარბებ? როგორ გეკადრებათ, ბატონო! თვით ბაზრის ხელმძღვანელობისაგან მსმენია, ასორმოცამდე სავაჭრო ობიექტიაო ამ ჰექტარნახევარ ტერიტორიაზე. ამ მხრივ იქნებ ცნობილი გინესის წიგნშიც კი მოხვდეს ზუგდიდის ბაზარი... ამ უკანასკნელის საგიგმო ყულაბაში აღნიშნულ ობიექტებს 18-20 ათას მანეთამდე შეაქვთ „საარსებო სივრცით" სარგებლობისათვის, სამაგიეროდ ბაზრის დანაგვიანების საქმეში უდევთ ლომის წილი.

...და ასე კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე ტრიალებს, ბრუნავს ჩვენი ყოფის კარუსელი, რომელიც ძალიან, ძალიან ჰგავს ბაზარს.

**ჯ. არქანია,**

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელიც ახლო მომავალში ჩატარდება დევიზით: „ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო" აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის შემადგენელი ნაწილია.

ოლიმპიადის დანიშნულებაა

# ეძღვნება მწერლის იუბილეს

ქართული ხალხური შემოქმედების პროპაგანდა, ეროვნული ფოლკლორის მოვლა-დაცვა, თვითმყობადი ნიჭის გამოვლინება, საზოგადოების ფართო ფენების, ახალგაზრდობის მონაწილეობა ხალხური შემოქმედების დარგების მიხედვით სხვადასხვა წრეებსა და კოლექტივებში, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარის გამდიდრება ხალხური შემოქმედების ნიმუშებით, რომელიც ასახავს ქართველი ერის წარსულს, მომავალს. დღევანდელობის აქტუალურ პრობლემებს...

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადას წინ უსწრებს საქალაქო ოლიმპიადა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქალაქის ცალკეული თვითმოქმედი კოლექტივები, ჯგუფები, ინდივიდუალური შემსრულებლები. სასურველია, მხატვრული კოლექტივების რეპერტუარში ერთ-ერთი ნომერი მიეძღვნას აკაკი წერეთლის შემოქმედებას.

დიდი ხანია დაიწყო წინასაოლიმპიადო სამზადისი. ლოტბარებმა: ვ. ჯორჯიკიამ, შ. ბიგვავამ, ბ. პითანავამ, დ. ლუკავამ, გ. ჯანაშიამ, კ. ოშხერელმა და სხვებმა არაერთი ძველი, ხალხური სიმღერა მოიძიეს და აღადგინეს.

საქალაქო ოლიმპიადის დაწყებამდე არც თუ ისე დიდი დრო დარჩა. უკვე შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, ჟიური. გამარჯვებულები წარსდგებიან რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე.

**ლ. ქარჩავა,**

კულტურის განყოფილების ინსპექტორი.

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ცხონდია.**



## თუ გსურთ იყოთ ჯანმრთელნი...

თუ გსურთ იყოთ ჯანმრთელნი და არ გტკიოდეთ არაფერი, თუ გსურთ ორგანიზმი გაიკაჟოთ არა ქიმიური საშუალებებით, არამედ მიიღოთ სამკურნალო მცენარეები, მიაკითხეთ კოოპერატივ „ჯანმრთელობა—89"-ს, სამკურნალო მცენარეების სარეალიზაციო ფილიალს, რომელიც მდებარეობს რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე გაზეთების ჯიხურის გვერდით.

კოოპერატივ „ჯანმრთელობა—89"-ს გამგეობა.

## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

დაიწყო ხელმოწერა 1991 წლისათვის ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე.

ხელმოწერა ფორმდება „სოიუზპეჩატის" სააგენტოში, ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან.

ვისაც სურს, ჟურნალ-გაზეთები 1991 წლის იანვრიდან მიიღოს, ხელმოწერა უნდა გააფორმოს ა. წ. 31 ოქტომბრამდე.

მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების გამოცემებზე ხელმოწერა იწყება ა. წ. 15 სექტემბრიდან, ხოლო საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე 1 ოქტომბრიდან.

„სოიუზპეჩატის" ზუგდიდის სააგენტო.

ზუგდიდის რაიონის ოქტომბრის ცენტრალიზებულ კულტურის სახლთან შექმნილია: მუსიკალური ათწლედი (ფორტეპიანოს განხრით), ქართულ-ხალხური საკრავებზე დაკვრის შემსწავლელი სტუდია, კოსმეტიკამიგრენის, ქარგვისა და ქსოვის, ჭრა-კერვის, მანქანაზე წერის წრეები. ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი, ფოტო ხელოვნების და ჭადრაკის შემსწავლელი წრეები, მსურველებს შეუძლიათ ჩაირიცხონ აღნიშნულ წრეებში და სტუდიებში. სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

წრეები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, აგრეთვე კულტურის სახლი აქირავებს ავტობუსს, კულტინვენტარს, მუსიკალურ ჩანაწერებს, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვის წესით.

მეცადინეობა დაიწყება 25-სექტემბერს. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დილის 10-საათიდან 22-საათამდე. ტელეფონი: 2-57-28.

დირექცია.



დედა ნათელა, მამა შოთა, მეუღლე ქეთო, შვილები: გიგა, ლაშა, დები: მზევინარი, ინეზა, მზია, ძმები: ანზორი, ემზარი, ხვიჩა, გოჩა, სიდედრი როზა, სიმამრი აგრენტი სართანიები, ბებია მარგო, რძლები: ლელა, ანჟელა, ბიძები: გურამი ჯაპავა, ხუტა კოკაია, ბოჩია სიჭინავა, ვალტერი ბეჭვაია, მამიდები: ვენერა, ნათელა, შურა, გოგოლა, დეიდები თინიკო, თამარა, ქუნა, ძმისშვილები ალიკა, ნიკა, სიძე ხუგზარ გოგსაძია, ბიცოლები: თამარა, ნაილი, ნუცა. დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**რეზო შოთას ძე ჯაპავას**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 9 სექტემბერს, სოფ. ფიჩორში (გალის რაიონი).

და ლუიზა, სიძე ჯემალი ჩხოლოარია, დისშვილი ქაბუკა, რძალი ნანა კარკია, დისშვილიშვილი ჯემალი იუწყებიან

**ენვერი შილას ძე ღურწკაიას**

გარდაცვალებას.

ძეულდე ნახული, შვილები: პაატა, გელა, ნანა, სიდედრი ოლვა მამიდა დოხია, დეიდა მინა, ბიცოლა თაკუნა, ბიძაშვილები: შოთა, მავრა, გიული ჩანგელიები, იზოლდა, ქეთო, ლიმო, ავთო, ბადრი ტიბუები. ცოლისდები: პიპიშა, დუხია, თალიკო, ფაციკო, ნიურა ქვათია პითაშვილები. ქვისლები: ამირანი ქაძანაია, ხუტა სიჭინავა, აპოლონი ლაჭავა, ტიტიკო თურმანიძე, ჟორა შუშუქია, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ზაური აბელის ძე ჩანგელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 სექტემბერს, დაკრძალვა 11 სექტემბერს დარჩელში.

ზუგდიდის სამედიცინო ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივი იუწყება

**სერგო აკაკის ძე ნინუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ძამიდა გოგუცა, ბიძა სევერიანე უბილავა, მამიდაშვილები გოგოლა, კაკო უბილავები ოჯახებით იუწყებიან

**ენვერი შილას ძე ღურწკაიას**

გარდაცვალებას.

შვილები. რეზო, დოდო, გულადი, ლეილა, და ლუშა, რძლები ლუიზა გეგელია, ფირუზა თორდია, ჟუჟა ფოფხაძე, ნორა ზარქუა, სიძეები ტუკა შამუგია, მამედი ქირია, ბადრი ჯიქია, ძმისშვილები: გივი, ცაკუ, ლორიტა, მზია, აზა, ცახავები. დისშვილები გივი, ლუდუკი, ზინა, აკაკი ზურაბი, ზაირა, ციალა, თალიკო, შვილიშვილები: ლელა, მამუკა, ეკა, გია, იროდიონი, ია. ცოლისდები რაისა, მარგო, ფუფული ნარმანიები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან

**იროდი ხანდროს ძე ცანავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 8, 9, 10 სექტემბერს დაკრძალვა 11 სექტემბერს ს. ცაიშში.

ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია და თერაპიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

**აბელი იაკობის ძე შონიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.


ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. № 3962.